

თვითმმართველი ქალაქის ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის  
სხდომის ოქმი  
№2

ქ. ქუთაისი

8 დეკემბერი 2011 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

- დავით ანდლულაძე -ქ. ქუთაისის მერის მოადგილე,  
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე.
- კოტე რატიანი -ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების  
სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის  
თავმჯდომარის მოადგილე.
- ლევან ჭანჭალეიშვილი -ქ. ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის  
უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.
- ვასილ მებურიშვილი -ქ. ქუთაისის მერიის არქიტექტურისა და ზედამხედველობის  
სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.
- ირაკლი გიორგაძე -ქ. ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული  
განყოფილების უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.
- ნოდარ მიქიაშვილი -ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების  
სამსახურის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი,  
სატენდერო კომისიის აპარატის უფროსის მოადგილე.

**დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი :** კონკურსის მეშვეობით ქალაქ ქუთაისში მრავალბინიანი ავარიულსახურავიანი საცხოვრებელი სახლების დაზიანებული სახურავის ზედა ნაწილების შეკეთებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის (7 ობიექტი) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

**განხილვა:**

საკონკურსო კომისიის წევრის ნოდარ მიქიაშვილის გამოსვლა იმის თაობაზე, რომ ქალაქ ქუთაისში მრავალბინიანი ავარიულსახურავიანი საცხოვრებელი სახლების დაზიანებული სახურავის ზედა ნაწილების შეკეთებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის (7 ობიექტი) სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში (საკონკურსო განცხადება №232 05.12.2011წ.) განსაზღვრულ დროში არცერთი კონკურსანტის მიერ არ იქნა წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება. შესაბამისად კონკურსი არ შედგა.

**აზრი გამოთქვას:**

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ დავით ანდლულაძემ კომისიის წევრებმა: კოტე რატიანმა, ნოდარ მიქიაშვილმა და ლევან ჭანჭალეიშვილმა.

**დაადგინეს:**

1. ქალაქ ქუთაისში მრავალბინიანი ავარიულსახურავიანი საცხოვრებელი სახლების დაზიანებული სახურავის ზედა ნაწილების შეკეთებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის (7 ობიექტი) სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებული კონკურსი გამოცხადდეს არშემდგარად.

2. ქ. ქუთაისის მერიის მიერ ქალაქ ქუთაისში მრავალბინიანი ავარიულსახურავიანი საცხოვრებელი სახლების დაზიანებული სახურავის ზედა ნაწილების შეკეთებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის (7 ობიექტი) სახელმწიფო შესყიდვის მიზნით კონკურსი გამოცხადდეს განმეორებით.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:

დავით ანდლულაძე

კომისიის წევრები:

კოტე რატიანი

ლევან ჭანჭალეიშვილი

ვასილ მებურიშვილი

ირაკლი გიორგაძე

ნოდარ მიქიაშვილი